ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2006421

ნომერი: AR1320657

თარიღი : 22.06.2015

გაცემის თარიღი : 10.07.2015

გაცნობის თარიღი : 11.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კაკაბაძე პ/ნ 65002012448
- თბილისი მცხეთის II შეს. N 4

ორგანიზაცია:
- შპს ფუდკო კოდი: 405069125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე 3 (სამი) საჩრდილობლის (ტენტის) მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 –ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 002/022) არსებული შენობის, შპს "ვაიზმან ჯგუფი Wiseman Group "–ის კუთვნილი ფართის ფასადზე 3 (სამი) საჩრდილობლის (ტენტის) მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ . დავით კაკაბაძის განცხადება ,ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015157785 საკადასტრო კოდი N 01.10.17.002.022.16.523, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015157763 საკადასტრო კოდი N 01.10.17.002.022.16.522,ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015157615 საკადასტრო კოდი N 01.10.17.002.022.16.521 მესაკუთრის თანხმობა ,სიტუაციური გეგმა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 –ში,, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 002/022) არსებული შენობის, შპს "ვაიზმან ჯგუფი Wiseman Group" –ის კუთვნილი ფართის ფასადზე 3(სამი) საჩრდილობლის (ტენტის) მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

–სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge